საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №94/ნ

2024 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქციისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 5 თებერვლის №20/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N3822-XIIIმს-Xმპ; 30/11/2023) შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქციისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 5 თებერვლის №20/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 06/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 020080160.22.022.017878):

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქციისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოსაყენებელი:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №1);

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქცია (დანართი №2);

გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესი (დანართი №3).“.

3. პირველი მუხლის:

ა) ,,ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №1) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ,,ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების ინსტრუქცია (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესი (დანართი №3) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრი **გიორგი ამილახვარი**